ქართლ-ოსეთის ველის მშრომელთა დეპუტატების

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„Коммунист" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
16 იანვარი
1940 წ.
№ 13 (5714)
ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთშია:

სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებანი (1-ლი გვ.)

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა (1-ლი გვ.)

ოპერატიული ცნობა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა (1-ლი გვ.)

კ. ბადიგინი — დრეიფი დამთავრდა (მე-2 გვ.)

ლენინის დღეების წინ (მე-2 გვ.)

ასე დაიწყო პირველი რევოლუციაში „ჭანტიერის" მუშათა გაფიცვის 35 წლისთავისთვის (მე-2 გვ.)

უცხოეთში:

აბეს კაბინეტის გადადგომა (მე-2 გვ.)

გულგარული პრესა სსრ კავშირისა და გულგარეთის ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ (მე-2 გვერდი)

დიდი ხანძარი იაპონიაში (მე-2 გვ.)

სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის

ყოველი ახალი წელი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობისათვის ახალი მიღწევებით ხასიათდება. პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების გამარჯვებანი მილიონიანი მასების გმირულმა შრომამ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სტახანოვურ მოძრაობაში გამოისვედა.

ასევე გმირულად იჭედება მესამე სტალინური ხუთწლედის გამარჯვებანი მისი სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1939 წელს 96.462,0 მილიონ მანეთს (1926-27 წლის ფასებში) შეადგენს და 1938 წლის საერთო პროდუქციის გამოშვებას 14,7 პროცენტით აღემატება; სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის გამოშვება 1939 წელს 121,0 პროცენტს შეადგენს 1938 წელთან შედარებით, საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე — 106,1 პროცენტს, საცალო საქონელბრუნვა სახალხო ჭების ჩათვლით — 116,7 პროცენტს. 1939 წელს ყველა სახალხო კომისარიატმა გაადიდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1938 წელთან შედარებით.

საქართველოს სსრ მრეწველობამ წლიური გეგმა ვადამდე 1939 წლის 20 დეკემბრისათვის შეასრულა. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1926-1927 წლის ფასებში 469.306,5 ათას მანეთს ანუ 1939 წლის გეგმის 101,3 პროცენტს შეადგენს, რაც 1938 წლის საერთო პროდუქციის გამოშვებას 12,2 პროცენტით აღემატება. სარეწაო კოოპერაციამ 1939 წლის გეგმა 17,7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა ჯერ კიდევ გასული წლის 1 დეკემბრისათვის.

ჩვენი მრეწველობის ეს შესანიშნავი გამარჯვებანი მოპოვებულია სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, სოციალისტური შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლით.

პროლეტარიატის დიდმა ბელადმა **ვ. ი. ლენინმა** თავის შესანიშნავ სტატიაში: „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?" ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდი რევოლუციის ორი თვის შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით დაყენა საკითხი შეჯიბრების მოწყობის შესახებ. „ჩვენი ამოცანა ახლა, — ამბობდა ლენინი ამ სტატიაში, — როდესაც სოციალისტური მთავრობა ხელისუფლების სათავეშია, — ეს არის შეჯიბრების მოწყობა. მის გაშლას ხელი უნდა შევუწყოთ. მას და **მხოლოდ მას** შეუძლია მასების დახმარებით იხსნას რუსეთი და იხსნას სოციალიზმის საქმე".

სოციალისტური შეჯიბრების ძალა უძლეველია. ეს ის ძალაა, რომელიც შრომის მაღალ ნაყოფიერებას იძლევა, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველჰყოფს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

გასულ წელს საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს და შრომის მაღალი ნაყოფიერების მაჩვენებლებს მიაღწიეს ამიერ-კავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზამ, ჰიათურის მარგანეცის მთელმა რიგმა მაღაროებმა, ტყიბულის ქვანახშირის ლენინის სახელობის მაღარომ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა მეტალურგიულმა ქარხანამ, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ და სხვ. ეს შესაძლებელი გახდა სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური შრომის ახალი ფორმების დანერგვისა და განვითარების საფუძველზე.

სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ადამიანების, ჩვენი კადრების კომუნისტურად აღზრდის უდიდესი სკოლაა. სოციალისტურ შეჯიბრებაში აღიზარდნენ და თავდადებული სტახანოვური შრომით სახელი მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის ათასობით ადამიანებმა, სოციალისტური მრეწველობის ნოვატორებმა. მათ შესანიშნავ რიგებს ამშვენებენ ა. წიკლაური, ნ. გელაძე, ზ. ნადირაძე, მ. გეწაძე, ვ. ცირეკიძე, ჭ. ბეშკენაძე, შ. ფურცვანიძე, პ. ბოყოველი, ტ. ფოფხაძე, ა. ვანდიშევი და სხვ.

შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდის სერიოზულ პირობას რაციონალიზაცია და გამომგონებლობა შეადგენს. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვამ დიდი როლი ითამაშა შრომის ნაყოფიერების გადიდების შარშანდელი პროგრამის შესრულებაში.

ამასწინათ გამომგონებელს ვასილ ალექსის-ძე დეგტიარევს **სოციალისტური შრომის გმირის** მაღალი სახელწოდება მიენიჭა, სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოებულ იქნენ რკინიგზელი გამომგონებლები და რაციონალიზატორები და ძმები დორონინები, რომელთაც გააკეთეს ავტომატურად გაწმენდილი პარაშუტი. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ყველაფერი ეს მოწმობს იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას, რომელთაც ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი **სტალინი** იჩენენ გამომგონებლების, კონსტრუქტორებისა და რაციონალიზატორებისადმი!

დიდიხანია შრომა ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა **„ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **სიმამაცის** და **გმირობის** საქმედ" **(სტალინი).**

მოაწყო სოციალისტური შეჯიბრება საწარმოში შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, — ეს იმას ნიშნავს, რომ ფართო გასაქანი მისცე რაციონალიზატორულ ინიციატივასა და გამომგონებლობას, ყოველდღიურად ზარდო მრავალდაზგელთა და პროფესიის შემთავსებელთა რიგები, შეამჭიდროვო სამუშაო დრო, იბრძოლე წარმოების კულტურისა და ორგანიზებულობისათვის უყაირათობის წინააღმდეგ.

„ჩვენში, — ამბობდა ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი** პარტიის XVIII ყრილობაზე, — ახალი უდიდესი რეზერვები გამოჩნდებიან, როგორც კი ნამდვილ მზრუნველობას გამოვიჩენთ ჩვენი მრავალრიცხოვანი გამომგონებლებისა, რაციონალიზატორებისა, და მათი თანაშემწეებისადმი. საჭიროა აქტიურად, მატერიალური და საზოგადოებრივი ზომებით წავახალისოთ და წინ წავწიოთ ეს საქმე, როგორც ამას ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის".

სტახანოვური შრომის ახალი ფორმების შემდგომი განვითარებით, რაციონალიზატორული ინიციატივისა და გამომგონებლობის ფართოდ დანერგვითა და განვითარებით ადგილობრივმა პარტიულმა, სამეურნეო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლის მოწყობა ყველა საწარმოში სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

Москва, Кремль

ამხანაგ სტალინს ამხანაგ მოლოტოვს

ძნელია ვიპოვოთ სიტყვები იმ მღელვარების, სიხარულისა და მედნიერების გამოსახატავად, რომლებმაც ჩვენი გული აღავსეს ახლა, როდესაც მივიღეთ თქვენი გულითადი მოლოცვა.

ჩვენი დრეიფის არც ერთ წუთს არ დავუკარგავს მისი წარმატებით დამთავრების რწმენა, ვინაიდან ჩვენ ვგრძნობდით პარტიისა და მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ჩვენთვის და თქვენს პირად ყურადღებას, იოსებ ბესარიონის-ძევ და ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ. ჩვენ მტკიცედ ვიცოდით, რომ ჩვენი ქვეყანა, პარტია, ამხანაგი სტალინი არასოდეს არ მიატოვებენ საბჭოთა ადამიანებს, რა ძნელ პირობებშიაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, და ჩვენ დამშვიდებით ვმუშაობდით, ჩვენს ძალასა და ცოდნას ვახმარდით ჩვენზე დაკისრებულ საქმეს, ვცდილობდით კიდევ უფრო გაგვემდიდრებინა საბჭოთა მეცნიერება.

თქვენი ყურადღება და მზრუნველობა ჩვენ ალგვაფრთოვანებს ახალ-ახალი ძალნელო საქმეებისათვის ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად.

მზურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ და ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, გისურვებთ მრავალ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და მუშაობას კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ყინულმჭრელ გემის „ბ. სედოვის" ეკიპაჟის დავალებით

ბადიგინი
ტროფიმოვი

გრენლანდიის ზღვა, ყინულმჭრელი „ი. სტალინი".
1940 წ. 15 იანვარი.

Москва, Кремль

ამხანაგ სტალინს ამხანაგ მოლოტოვს

უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით განვიმსჭვალეთ ჩვენ, როდესაც დიდი მიწიდან რადიომ მოგვიტანა მისალმებისა და ყურადღების თქვენი გულითადი სიტყვები. ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ დავვდეთ მაღალი პატივი შეგვესრულებინა სამშობლოსა და პარტიის და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ და ამხანაგო მოლოტოვ საპატიო დავალება. ჩვენი ექსპედიციის წარმატება—ეს არის გამარჯვება ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა, მთელი საბჭოთა მრავალრიცხოვანი ხალხისა, რომლის შვილებიც ჩვენა ვართ.

საფლაგმანო ყინულმჭრელ „ი. სტალინის" კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა ყინულთა ტყვეობიდან ყინულმჭრელი გემის „ბ. სედოვის" გამოყვანის ოპერაციის მეორე ნაწილის შესრულებას. პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით აღფრთოვანებულნი პირობას გაძლევთ, რომ პირნათლად შევასრულებთ ოპერაციის მეორე ნაწილსაც, საბჭოთა არქტიკის ლეგენდარულ ხომალდს მოვაყენებთ ჩვენი დიდი სამშობლოს ნაპირებს და საბჭოთა მიწა-წყალს დავუბრუნებთ მის ხუთმეტ მამაც შვილს—სოციალისტური სამშობლოს ნამდვილ პატრიოტებს.

არქტიკული სახაზო გემის, საბჭოთა ყინულმჭრელი ფლოტის ფლაგმანის კოლექტივი პირობას გაძლევთ თქვენ, ხალხთა ბელადსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომ ივი მზად არის შემდგომი ბრძოლებისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს ყინულოვან საზღვრებზე, მზად არის შეასრულოს თქვენი ყოველივე დავალება, მზად არის ყოველგვარი სამუშაოსათვის ცენტრალური პოლარული აუზის ოკეანისა და ზღვის სივრცეებში.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს!
გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ დროშას!
გაუმარჯოს ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ეკიპაჟის პირადი შემადგენლობის დავალებით

ი. პაპანინი.
მ. ბელოუსოვი.

გრენლანდიის ზღვა, ყინულმჭრელი „ი. სტალინი"
1940 წლის 15 იანვარი.

არქტიკის დევგმირებს

ძვირფასო ამხანაგო სედოველებო! მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თქვენს ბრწყინვალე მეცნიერულ მუშაობას.

თქვენ გმირობა და მამაცობა გამოიჩინეთ მრავალსაუკუნოვან ყინულებთან და არქტიკის მკაცრ ქარიშხალთან ბრძოლაში.

თქვენი გმირობა აღაფრთოვანებს მოსკოვის სამხედრო ოლქის მებრძოლთ, მეთაურებს, კომისრებს და პოლიტმუშაკებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

მაგრად გართმევთ ხელს. მოუთმენლად მოველით თქვენს დაბრუნებას დიდ მიწაზე.

მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭო:

ს. ბუდიონი.
ა. შჩერბაკოვი.
ა. ზაპოროჟეცი.
ა. ლოგაჩევი.

სალამი სახელოვან, მამაც მკვლევარებს

გულითადად მივესალმები სახელოვან, მამაც მკვლევარებს, რომლებმაც არაჩვეულებრივი ძვირფასი განძი შეჰმატეს მსოფლიო მეცნიერებას. დარწმუნებული ვარ, რომ სედოველთა გმირული მუშაობა საჰატიო ადგილს დაიკავებს პოლარული კვლევის ისტორიაში. თავდადებულმა ეკიპაჟმა მთელი ორი წლის უმაგალითო დრეიფის განმავლობაში იცოდა, რომ მეცნიერების საუკეთესო მეგობრის, დიდი სტალინის გული და აზრი მუდამ მას დასტრიალებდა. ეკიპაჟს ეს მატებდა ახალ ძალასა და ენერგიას გადაელახა სიძნელენი, ისე როგორც ეს ბოლშევიკებს ჩვევიათ. საბჭოთა ადამიანების ენტუზიაზმსა და გმირობას საზღვარი არა აქვს!

გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას, გაუმარჯოს საბჭოთა პოლარელებს!

აკადემიკოსი
ი. ჯავახიშვილი.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

თავდადებული პატრიოტები

გულითადად ვულოცავ ყინულმჭრელ „სედოვის" გმირ ეკიპაჟს. საბჭოთა ადამიანების ბოლშევიკური სიმტკიცით, გადალახა რა ხანგრძლივი და საშიშარი გზის ყველა სიძნელე, იგი გამარჯვებული დაბრუნდება სამშობლოში.

სედოველები ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები არიან. მათი კეთილშობილება და მამაცობა, დიდი სამშობლოსადმი ერთგულება პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების დამახასიათებელი თვისებებია. „სედოვის" ეკიპაჟის პატრიოტიზმი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის უღრეკ ნებისყოფასა და ძლიერებას, მის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო დარაზმულობას.

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფის სამეცნიერო მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ხომალდი გადიოდა ისეთ რაიონებში, სადაც ოკეანის ფსკერზე ჯერ კიდევ არ ჩაშვებულა საძირავი სიღრმეთა გასაზომად, არ წარმოებულა მაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვებანი. დაუშრეტელი ენერგიით, დაუღალავად მუშაობდნენ სედოველები, სისტემატურად გვაწვდიდნენ რა თავიანთ დაკვირვებებს.

უშიშარ მეზღვაურ სედოველთა სახელები ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ჩვენი ქვეყანა — კულტურისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის პროგრესის ბურჯი— რომელსაც ასეთი ადამიანები ჰყავს, კიდევ ბევრ მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებს.

დიდება თავდადებულ პატრიოტ სედოველებს!

ვ. ა. დეგტიარევი.

სოციალისტური შრომის გმირი.
(საკდესი).

სედოველთა მიღწევები სამუდამოდ შევა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში

ცნობამ „სედოვის" გმირული დრეიფის გამარჯვებით დამთავრების შესახებ ჩემში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

სედოველთა არაჩვეულებრივი მიღწევები სამუდამოდ შევა მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, როგორც მისი ერთერთი უბრწყინვალესი ფურცელი და საუკეთესო მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს დიდი სტალინის მითითებანი მოწინავე მეცნიერების შესახებ.

სულითა და გულით მივესალმები გმირ სედოველებს, რომლებმაც ბრწყინვალედ მოიხადეს თავისი ვალი დიადი საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

აკადემიკოსი
ნ. მუსხელიშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ყინულმჭრელი „ბ. სედოვი" დრეიფში.
სურათი გადაღებულია 1938 წლის გაზაფხულზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ცნობებით, სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია, რკინიგზებზე ტვირთვის დატვირთვა და საცალო საქონელბრუნვა 1939 წელს 1938 წელთან შედარებით შემდეგი რაოდენობით გაიზარდა:

	1938 წ.	1939 წ.	1939 წ. პროცენტით 1938 წლის ციმართ
I. ქვემოთმოთამთავლილი საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია (მილიონ მანეთობით, 1926/27 წ. ფასებით)	84.108,7	96,462,0	114,7
საერთო-საკავშირო და საკავშირო - რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატები:			
მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი . . .	2.393,4	2.720,4	113,7
საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი .	6.077,9	6.997,8	115,1
საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი .	2.101,6	2.257,0	107,4
თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატები (საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, საომარ მასალათა სახალხო კომისარიატი, შეიარაღების სახალხო კომისარიატი, გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	11.556,2	16.935,0	146,5
ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1.888,0	2.062,5	109,2
ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.836,1	2.973,6	104,8
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატი	3.837,6	4.117,3	107,3
შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი	5.278,9	5.524,6	104,7
ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი	1.419,4	1.618,9	114,1
ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატი	3.860,4	4.346,5	112,6
სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1.549,8	1.632,6	105,3
სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.848,1	2.999,3	105,3
საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	9.054,5	9.850,8	108,8
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	7.091,7	7.668,0	108,1
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი	10.349,9	11.263,9	108,8
ხორცისა და რძისმრეწველობის სახალხო კომისარიატი .	3.790,8	4.329,5	114,2
თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	846,5	942,6	111,4
დამზადებათა სახალხო კომისარიატი	2.072,8	2.445,8	118,0
არასამრეწველო საერთო - საკავშირო და საკავშირო - რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები:			
გზათა სახალხო კომისარიატი .	1.264,6	1.269,1	100,4
საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი	119,2	143,8	120,6
სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატი	207,9	249,8	120,1
ავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი	229,7	263,0	114,5
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი	267,2	311,3	116,5
სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი	178,9	188,4	105,3
სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი . . .	299,8	354,7	118,3
რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატები:			
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატები . . .	2.412,5	2.702,7	112,0
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატები	270,3	293,1	108,4
II. სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია (მილიონ მანეთობით, 1932 წლის ფასებით)	15.025,5	18.177,3	121,0
აქედან:			
სრულიად-საკავშირო სარეწაო საბჭო	12.002,1	14.652,8	122,1
სრულიად - საკავშირო სარეწაო სატყეო კავშირი	1.563,0	1.779,0	113,8
ინვალიდთა კოოპერაცია . .	1.460,4	1.745,5	119,5
III. ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე (ორღერძიანი ვაგონების პირობებში).	88.046	93.374	106,1
IV. საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით (მილიონ მანეთობით) . . .	140.020	163.456	116,7

1939 წელს ყველა სახალხო კომისარიატმა გაადიდა 1938 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ე. გრაბარის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

რუსული სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, სამხატვრო, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-წლისთავთან დაკავშირებით, **შრომის წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოებულ იქნას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იგორ ემანუილის-ძე **გრაბარი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი,
1940 წ. 14 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ე. ა. კოშარიცკის, ე. ვ. ჩარნკოს, ვ. ი. შელკოვისა და მ. რ. ლებედევის დაჯილდოების შესახებ.

წითელი არმიის შეიარაღების გაუმჯობესების დარგში მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის

1) დაჯილდოებულ იქნან:

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

ელინარხ ანდრიას-ძე **კოშარიცკი** — კონსტრუქტორი, წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით და „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

ევგენი ვლადიმერის-ძე **ჩარნკო** — კონსტრუქტორი, წინათ დაჯილდოებული „საჰატიო ნიშნის" ორდენით,

ვასილ ივანეს-ძე **შელკოვი** — კონსტრუქტორი, წინათ დაჯილდოებული „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

მათე როდიონის-ძე **ლებედევი** — მექანიკოსი:

2) მიეცეს ფულადი პრემია 5 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეულს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი,
1940 წ. 14 იანვარი.

მივესალმებით „ბ. სედოვის" გმირულ ეკიპაჟს

ერთხელ კიდევ ვართ ბრწყინვალე, გმირული მოქმედების მოწმენი. „ბ. სედოვის" სწორუპოვარი დრეიფი კვლავ სასიქადულოდ დასრულდა. მან ძვირფასი განძეული მოუპოვა მეცნიერებას არქტიკის შესწავლის საქმეში.

„ი. სტალინის" მამაცი ეკიპაჟი, სახალხო ლეგენდარული გმირის ი. პაპანინის მეთაურობით, მშვიდობით გამოიყვანს ყინულებიდან დიდ დაბრკოლებათა გადამლახველ „ბ. სედოვს".

გული სიხარულით არის აღსავსე, რომ ასეთი გმირების ხანაში ვცხოვრობთ, რომ დიდი სტალინის იპოქა მუდმივად იძლევა ასეთი სიმტკიცისა და თავდადების მრავალ მაგალითს.

გამარჯვება ჩვენს ხანას! გამარჯვება ჩვენი გმირების უჭკნობ სახელს! გამარჯვება გმირობის სულისჩამდგმელს—დიდ **სტალინს!**

ვალვა დადიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი დრამატურგი.

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის საბჭოთა ოლქის შტაბისა

15 იანვრის განმავლობაში **მურმანსკის, უხტისა** და **რებოლის** მიმართულებით მზვერავთა მოქმედება იყო და ცალკეულ უბნებზე თოფის, ტყვიამფრქვევისა და საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

პეტროზავოდსკის მიმართულებით გრძელდებოდა ქვეითი ჯარის ნაწილების შეტაკება. **კარელიის ყელზე** მოქმედებენ მზვერავი ნაწილები და დროგამოშვებით სწარმოებს საარტილერიო სროლა.

ჩვენმა ავიაციამ მთელ რიგ ადგილებში ყუმბარები დაუშინა რკინიგზის კვანძებსა და სამხედრო ობიექტებს.

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՕՐԳԱՆ

Հիմնադրվել է 1921 թ. դեկտեմբերի 16-ին

Ս. ՀԱՅԿԱԶՈՒՆ խմբագիր • Խմբագրության հասցեն՝ Երևան, Մաշտոցի պող., 24

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՇԽԱՐՀԱՅԻՆ ՀԱՄԱԳՈՐԾԱԿՑՈՒԹՅԱՆ ՀԱՐԱՎԱՅԻՆ ՀԱՄԱԳՈՐԾԱԿՑՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՇԽԱՐՀԱՅԻՆ ՀԱՄԱԳՈՐԾԱԿՑՈՒԹՅԱՆ ՀԱՐԱՎԱՅԻՆ ՀԱՄԱԳՈՐԾԱԿՑՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՕՐԳԱՆ

ՀՀՄԱՄՈՒ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՕՐԳԱՆ